**ადამიანის უფლებათა საბჭო**

**58-ე სესია**

2025 წლის 24 თებერვალი - 4 აპრილი

დღის წესრიგის მე-3 პუნქტი

**ადამიანის უფლებების, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, მათ შორის განვითარების უფლების ხელშეწყობა და დაცვა**

**რეზოლუცია**

*მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2025 წლის 2 აპრილს*

**58/6. ნეიროტექნოლოგია და ადამიანის უფლებები**

ადამიანის უფლებათა საბჭო,

ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებითა და პრინციპებით,

*კვლავ ადასტურებს,* ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტს, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს, ვენის დეკლარაციასა და სამოქმედო პროგრამას, ბავშვის უფლებათა კონვენციას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა კონვენციას და სხვა შესაბამის საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებს;

*მოიხსენიებს* ადამიანის უფლებათა საბჭოს 2022 წლის 6 ოქტომბრის 51/3 რეზოლუციას ნეიროტექნოლოგიისა და ადამიანის უფლებების შესახებ და საბჭოს ყველა სხვა შესაბამის რეზოლუციას, მათ შორის – 2023 წლის 3 აპრილის 52/12 რეზოლუციას ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ადამიანის უფლებებზე, 2023 წლის 14 ივლისის 53/29 რეზოლუციას ახალ და განვითარებად ციფრულ ტექნოლოგიებსა და ადამიანის უფლებებზე, 2023 წლის 12 ოქტომბრის 54/21 რეზოლუციას ციფრულ ეპოქაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, 2024 წლის 10 ივლისის 56/7 რეზოლუციას აზრისა და გამოხატვის თავისუფლებაზე და 2024 წლის 11

ოქტომბრის 57/29 რეზოლუციას ინტერნეტში ადამიანის უფლებების ხელშეწყობის, დაცვისა და განხორციელების შესახებ;

*ხელახლა ადასტურებს,* თითოეული ადამიანისათვის მეცნიერების პროგრესისა და მისი სარგებლის გაზიარების უფლების ხელშეწყობისა და დაცვის მნიშვნელობას;

*აღიარებს* უნივერსალური და მნიშვნელოვანი კავშირისა და ხელმისაწვდომობის გადამწყვეტ როლს ციფრული და განვითარებადი ტექნოლოგიების სრულად წარმოსაჩენად, რათა გადაიჭრას ყველა არსებული ციფრული გამოწვევა და მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად დაჩქარდეს პროგრესი;

*აცნობიერებს,* რომ ახალი და განვითარებადი ციფრული ტექნოლოგიები განვითარების კრიტიკულ შესაძლებლობას წარმოადგენს, და ხაზგასმით აღნიშნავს ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის საჭიროებას, რათა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ახალი და განვითარებადი ტექნოლოგიების უპირატესობები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს;

*მოიხსენიებს,* რომ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობა და დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას და პირველადი პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება, და რომ ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ გზამკვლევი პრინციპების – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „დაცვის, პატივისცემისა და გამოსწორების“ – ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ზემოაღნიშნული, ხოლო ბიზნესის სუბიექტებს, მათ შორის ტექნოლოგიურ კომპანიებს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა პატივი სცენ ადამიანის უფლებებს, მათ შორის – ადამიანის უფლებების სათანადო შემოწმების გზით, რაც მოიცავს რეალური და პოტენციური ზეგავლენების შეფასებას, შედეგების გათვალისწინებასა და რეაგირებას, მონიტორინგსა და ზემოქმედების ამსახველი შედეგების შესახებ კომუნიკაციას;

*მიიჩნევს,* რომ ნეიროტექნოლოგია ადამიანის ტვინის ციფრულ ქსელებთან პირდაპირი დაკავშირების საშუალებას იძლევა იმ მოწყობილობებისა და პროცედურების მეშვეობით, რომლებიც სხვა მიზნების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის ნეიროსისტემისა და გონებასთან წვდომის, მონიტორინგისა და ცვლილებისთვის, რომელთა ეფექტი და ზეგავლენა ჯერ კიდევ არ არის სრულად შესწავლილი;

*აღიარებს,* რომ ნეიროტექნოლოგია შეიძლება ეფექტური იყოს ადამიანის ჯანმრთელობისა და ინოვაციისთვის, თუმცა ამავდროულად მისი გამოყენების

აქტიური განვითარება წარმოშობს ეთიკურ, სამართლებრივ და სოციალურ გაურკვევლობებს და გავლენას ახდენს ადამიანის ღირსებასა და თვითმყოფადობაზე, რაც აუცილებელს ხდის, მიღებულ იქნეს სათანადო ზომები ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვისა და უზრუნველყოფის კონტექსტში;

ასევე, *აღიარებს,* რომ ნეიროტექნოლოგიებს შეუძლია მრავალი შესაძლებლობის მოწოდება, მათ შორის: კომუნიკაციის გაუმჯობესება, განათლებისა და სწავლების მხარდაჭერა, ხელმისაწვდომობისა და მობილობის გაუმჯობესება, ჩართულობის ხელშეწყობა და ნეიროდივერსიულობის მიღება, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება, ტკივილის მართვის ახალი გზების შემუშავება და ინოვაციების წახალისება ტვინისა და კომპიუტერის ურთიერთკავშირით;

*აღნიშნავს,* რომ ნეიროტექნოლოგიის სწრაფი განვითარება ქმნის გამოწვევებს ფიზიკური და მენტალური მთლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ): თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება, აზრის თავისუფლების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტთან ხელმისაწვდომობის უფლება, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოსა და აუცილებელი საპროცესო გარანტიების უფლება;

*განიხილავს* გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის საერთაშორისო ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტის მიერ ნეიროტექნოლოგიების ეთიკურ საკითხებზე მომზადებულ ანგარიშს, რომელიც მიუთითებს, რომ ნეიროსისტემისა და გონების ცვლილების მზარდმა პოტენციურმა შესაძლებლობებმა, მათ შორის ინვაზიური და ყოვლისმომცველი გზებით, დღის წესრიგში დააყენა ადამიანის სხეულის მთლიანობის, განსაკუთრებით კი ტვინისა და გონების, დაცვის საკითხების განხილვა;

*აცნობიერებს* საჭიროებას, რომ ყველა ადამიანს, განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ პირს, უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებებთან თანხვედრაში მყოფ უსაფრთხო და სანდო ნეიროტექნოლოგიებზე თანასწორი და ხელმისაწვდომი პირობებით. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის ეტაპებზე ნეგატიური ზეგავლენებისა და ბოროტად გამოყენებისგან მათი ღირსებისა და ძირითადი უფლებების პრაქტიკული დაცვა. ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს

ნეიროტექნოლოგიებზე წვდომა იმ პირთათვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ ჯანმრთელობისა და სამედიცინო მიზნებისთვის;

*ხაზს უსვამს,* რომ ნებისმიერი ნეიროტექნოლოგიური ჩარევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ წინასწარი, ინფორმირებული, თავისუფალი, რეალური, გამჭვირვალე, ეფექტური და მკაფიო თანხმობის საფუძველზე, რომლის უკან გამოხმობა ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი და, რომ ყველა პირი, მათ შორის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი, ეფექტურად უნდა იყოს დაცული ისეთი სამედიცინო მკურნალობისა და კვლევებისაგან, რომლებზეც მას თანხმობის გაცემა არ შეუძლია;

*აღნიშნავს,* რომ გენერალური მდივანი 2021 წლის ანგარიშში სახელწოდებით „საერთო დღის წესრიგი“ აღნიშნავს, რომ არსებობს საჭიროება ციფრულ სივრცესა და ტექნოლოგიის სფეროში, მათ შორის ნეიროტექნოლოგიაში, განახლდეს ან განისაზღვროს ადამიანის უფლებათა დაცვის ჩარჩო და სტანდარტების გამოყენება ახალი ტექნოლოგიური გამოწვევების მოსაგვარებლად და ზიანის თავიდან ასაცილებლად.

ასევე *აღნიშნავს,* რომ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების საკითხებში სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა საკითხს, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ ნეიროტექნოლოგიის მიღწევებს უზარმაზარი პოტენციალი აქვს ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ზოგიერთ შემთხვევაში მათი გამოყენება შეიძლება უკავშირდებოდეს აზრების მოდიფიკაციასა და ტვინის შიდა მანიპულაციას, რაც ზეგავლენას ახდენს აზრის თავისუფლებაზე.

დამატებით აღსანიშნავია, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საკითხზე სპეციალურმა მომხსენებელმა ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებების, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური დაცვის საჭიროებას ნეიროტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების თვალსაზრისით. ასევე, ნეირომონაცემების დამუშავებისა და უსაფრთხო მართვისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპზე.

აღნიშნავს, რომ გენერალურმა მდივანმა მიიჩნია, რომ ნეიროტექნოლოგიების შესაძლო გამოყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებაში აჩენს შეშფოთებასაც.

ამასთან, აღინიშნა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სამუშაო ნეიროტექნოლოგიების ეთიკის შესახებ რეკომენდაციის შემუშავების მიმართულებით და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ

ჩატარებული კვლევები ნეიროტექნოლოგიების ზეგავლენის შესახებ ბავშვთა უფლებებზე.

მიჩნეულია, რომ აუცილებელია ადამიანის უფლებების არსებულ ჩარჩოს გათვალისწინება ნეიროტექნოლოგიების გამოწვევებისა და შესაძლებლობების გასაანალიზებლად, თუმცა აღინიშნება, რომ ამ ტექნოლოგიებს შეიძლება არ გააჩნდეს სათანადო რეგულაცია და არსებობს ეფექტიანი ზომების მიღების საჭიროება მათი უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად.

1. *მიესალმება* ადამიანის უფლებათა საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტის ანგარიშს, რომელიც ეხება ნეიროტექნოლოგიების ზეგავლენას, შესაძლებლობებსა და გამოწვევებს ყველა ადამიანის უფლების ხელშეწყობისა და დაცვის თვალსაზრისით და რომელიც წარდგენილია ადამიანის უფლებათა საბჭოს 57-ე სესიაზე;

2. *სთხოვს:* ადამიანის უფლებათა საბჭოს საკონსულტაციო კომიტეტს, შეიმუშაოს რეკომენდებული სახელმძღვანელო პრინციპები ნეიროტექნოლოგიების დაგეგმვის, შექმნის, განვითარების, ტესტირების, გამოყენებისა და დანერგვის პროცესში არსებული ადამიანის უფლებების ჩარჩოს გამოყენების შესახებ და წარუდგინოს იგი საბჭოს 64-ე სესიაზე;

3. *სთხოვს* საკონსულტაციო კომიტეტს, რომ ზემოხსენებული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისას მოისმინოს და გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრება და როლი, ასევე – უკვე შესრულებული შესაბამისი სამუშაო, მათ შორის გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაო;

4. *მოუწოდებს* გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისარს, შეთანხმების ორგანოებსა და ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალურ პროცედურებს, თავიანთი მანდატების ფარგლებში, სათანადო ყურადღება გაამახვილონ ნეიროტექნოლოგიების გავლენაზე ყველა ადამიანის უფლებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულფასოვანი რეალიზების პროცესში;

5. *იღებს გადაწყვეტილებას,* დარჩეს საკითხის განხილვის პროცესში.